

ვებგვერდზე www.tbcbank.ge განთავსებული ფიზიკური პირის საბანკო ოპერაციების წარმოების შესახებ ხელშეკრულების (შემდგომში „ხელშეკრულება“) 8.5 პუნქტის შესაბამისად, სს „თიბისი ბანკი“ გათვალისწინებულ ხელშეკრულებაში შემდეგი ცვლილებ(ებ)ის (დამატებ(ებ)ის) შეტანას:

ხელშეკრულების მე-4 მუხლის 4.3 პუნქტს დამატოს 4.3.1 ქვეპუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„4.3.1. სატარიფო ნაკრების საკომისიოს 6 (ექვსი) თვის გადაუხდელობის შემთხვევაში, ბანკი უფლებამოსილია გააუქმოს სატარიფო ნაკრები, სატარიფო ნაკრებში შემავალი ბარათები, ხოლო სატარიფო ნაკრებში შემავალი სხვა პროდუქტ(ებ)ის/მომსახურებ(ებ)ის ტარიფები შეცვალოს ბანკში მოქმედი შესაბამისი პროდუქტის/მომსახურების სტანდარტული ტარიფ(ებ)ის ოდენობამდე.“

ხელშეკრულების მე-7 მუხლის 7.1 პუნქტს დამატოს 7.1.1.6 ქვეპუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

7.1.1.6 „კლიენტი ან/და მასთან აფილირებული პირ(ებ)ი ამ ხელშეკრულების ხელმოწერამდე ან/და მისი მოქმედების განმავლობაში ნებისმიერი დროს:

7.1.1.6.1 არ არიან/იქნებიან გაერთიანებული ერების ორგანიზაციის (გაერო) ან/და ევროკავშირის ან/და ამერიკის შეერთებული შტატების უცხოური აქტივების კონტროლის სამმართველოს (OFAC), სახელმწიფო დეპარტამენტის, ვაჭრობის სამინისტროს ან/და საქართველოს (შემდგომში ერთად ან ცალ-ცალკე „უფლებამოსილი პირ(ებ)ი“) მიერ სანქცირებულ პირთა სიაში (შემდგომში „სანქცირებულ პირთა სია“), მათ შორის ტერორიზმის მხარდაჭერისთვის ან/და სხვა ნებისმიერი ქმედებისთვის რასაც დროდადრო განსაზღვრავენ უფლებამოსილი პირ(ებ)ი;

7.1.1.6.2 არ არიან/იქნებიან იმ სახელმწიფოს რეზიდენტები, რომელზეც უფლებამოსილი პირ(ებ)ის მიერ ვრცელდება ემბარგო;

7.1.1.6.3 პირდაპირ ან/და ირიბად, მათ შორის სხვა პირ(ებ)ის მეშვეობით არ დაუდუიათ/დადებენ ნებისმიერ გარიგებას ნებისმიერ პირთან ან/და გაერთიანებასთან, რომელიც შეყვანილია/შეყვანილ იქნება სანქცირებულ პირთა სიაში ან/და რომელიც არის იმ სახელმწიფოს რეზიდენტი, რომელზეც ვრცელდება ემბარგო;

7.1.1.6.4 პირდაპირ ან/და ირიბად, მათ შორის სხვა პირ(ებ)ის მეშვეობით არ დააფინანსებენ ან/და არ გადასცემენ ნებისმიერი სახის აქტივს/ქონება ნებისმიერ პირს ან/და გაერთიანებასთან, რომელიც შეყვანილია/შეყვანილ იქნება სანქცირებულ პირთა სიაში ან/და რომელიც არის იმ სახელმწიფოს რეზიდენტი, რომელზეც უფლებამოსილი პირ(ებ)ის მიერ ვრცელდება ემბარგო.“

ხელშეკრულების მე-17 მუხლს დაემატოს 17.6 პუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„17.6. იმ შემთხვევაში თუ წინამდებარე ხელშეკრულების 7.1.1.6 ქვეპუნქტის შესაბამისად გაკეთებული განცხადება აღმოჩნდება არასწორი ან მცდარი (სინამდვილესთან შეუსაბამო), ბანკს გარდა ამ ხელშეკრულებით განსაზღვრული სხვა ქმედებებისა, ასევე უფლება ექნება იმოქმედოს წინამდებარე ხელშეკრულების 7.1.1.6.1 ქვეპუნქტით გათვალისწინებული უფლებამოსილი პირ(ებ)ის მიერ დაწესებული სანქციის შესაბამისად და განახორციელოს უფლებამოსილი პირ(ებ)ის მიერ დაწესებული ან/და მოთხოვნილი ნებისმიერი და ყველა ქმედება, მათ შორის არ მისცეს კლიენტს ნებისმიერი თანხის განკარგვის ან/და მართვის შესაძლებლობა.“

შეიცვალოს ხელშეკრულების 16.26.4 ქვეპუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„16.26.4. ამ ხელშეკრულების საფუძველზე გაფორმებული ნებისმიერი დამატებითი ხელშეკრულების (ნებისმიერი საკრედიტო პროდუქტის) გრაფიკით გათვალისწინებული გადასახდელი თანხის 14 (თოთხმეტი) დღიანი ვადაგადაცილების შემთხვევაში, ინფორმაცია აღნიშნულის შესახებ მიაწოდოს საკრედიტო პროდუქტის მიღების შესახებ კლიენტის შესაბამის განაცხადში დაფიქსირებულ პირ(ებ)ს (ოჯახის წევრებს, რეკომენდატორებს, საკონტაქტო პირებს და სხვა). ამასთან, ბანკი უფლებამოსილია, მხოლოდ კლიენტის ადგილსამყოფელის/საკონტაქტო ინფორმაციის დადგენის მიზნით, დაუკავშირდეს საკრედიტო პროდუქტის მიღების შესახებ კლიენტის ნებისმიერ განაცხადში (მათ შორის დახურული/გაუქმებული საკრედიტო პროდუქტების განაცხადში) დაფიქსირებულ პირ(ებ)ს (ოჯახის წევრებს, რეკომენდატორებს, საკონტაქტო პირებს და სხვა) და/ან კლიენტის ანგარიშ(ებ)ზე დაფიქსირებული თანხების შემომტან/გადმომრიცხავ პირ(ებ)ს - გადამხდელ(ებ)ს, რასთან დაკავშირებითაც კლიენტი წინასწარ აცხადებს თანხმობას;“

შეიცვალოს ხელშეკრულების 22.3.1 ქვეპუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„22.3.1 ამ ხელშეკრულების 22.2.2 ქვეპუნქტში აღწერილი დავალების მიღებიდან არაუგვიანეს მეორე/მომდევნო საბანკო დღის განმავლობაში გადარიცხოს თანხები დასაქმებულების ანგარიშებზე.“